

თარგმანი მომზადებულია საინფორმაციო მიზნებისთვის. გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად აღვნიშნავთ, რომ სოციალური ობლიგაციების პრინციპების ოფიციალურ დოკუმენტს წარმოადგენს მხოლოდ ინგლისურ ენაზე არსებული ვერსია, რომელიც გამოქვეყნებულია ICMA-ს ვებგვერდზე

სოციალური ობლიგაციის პრინციპები

სოციალური ობლიგაციების გამოშვების ნებაყოფლობითი გზამკვლევი
ივნისი 2018



ივნისი 2018

სოციალური ობლიგაციის პრინციპები

სოციალური ობლიგაციების გამოშვების ნებაყოფლობითი
გზამკვლევი

შესავალი

სოციალური ობლიგაციების პრინციპების (სოპ) ბაზარი მიზნად ისახავს განსაზღვროს და განავითაროს კაპიტალის ბაზრის როლი ისეთი პროექტების დაფინანსებაში, რომელთაც წვლილი შეაქვთ გლობალური სოციალური გამოწვევების დაძლევაში. სოციალური ობლიგაციები წარმოადგენს მიზნობრივ ობლიგაციებს, რომელთა ემისიით მოზიდული სახსრებიც მიმართულია დადებითი სოციალური ზეგავლენის მქონე ახალი და არსებული პროექტების დასაფინანსებლად. სოციალური ობლიგაციების პრინციპები ხელს უწყობს სოციალური ობლიგაციების ბაზრის მთლიანობას გზამკვლევის მეშვეობით, რომელიც რეკომენდაციას უწევს გამჭირვალობას, ინფორმაციის გამჟღავნებასა და ანგარიშგებას. ის გამიზნულია ფართო მოხმარებისთვის ბაზრის მონაწილეთა მიერ და მიმართულია სოციალური პროექტების დაფინანსების გაზრდისათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდების უზრუნველსაყოფად.

ობლიგაციების გამოშვება სოპ-ის მიხედვით ნიშნავს ინვესტიციის განხორციელებას ისეთ პროექტში, რომელსაც ცხადი სოციალური მახასიათებლები აქვს. რეკომენდაციას უწევს რა ემიტენტებს მოახდინონ სოციალური ობლიგაციის ემისიიდან მიღებული თანხების გამოყენების ანგარიშგება, სოპ მხარს უჭერს გამჭვირვალობის მუდმივ ზრდას, რაც გაამარტივებს სოციალურ პროექტებში ფულადი სახსრების მოძრაობის მონიტორინგს და ამავე დროს გააუმჯობესებს მათი ზემოქმედების შეფასებასაც. სოპ სოციალური პროექტების კატეგორიების მხოლოდ ზოგად ჩამონათვალს მოიცავს, რაც გამომდინარეობს იქიდან, რომ სოციალური საკითხების გარშემო არსებული მოსაზრებები საკმაოდ მრავალფეროვანია და მათი ზემოქმედების ანალიზი ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია.

სოპ სარეკომენდაციო ხასიათისაა და შემუშავებულია ერთობლივად, მწვანე ობლიგაციების პრინციპების და სოციალური ობლიგაციების პრინციპების (შემდგომში „პრინციპები“) წევრებისა და დამკვირვებლების და დაინტერესებულ მხარეთა ფართო საზოგადოების ჩართულობით. პრინციპების კოორდინაციას ახორციელებს აღმასრულებელი კომიტეტი. კომიტეტის შემადგენლობის განახლება, როგორც წესი, ხდება ყოველწლიურად, რათა მოხდეს საერთაშორისო სოციალური ობლიგაციების ბაზრის ზრდისა და განვითარების ასახვა.

სოპ-ის 2018 წლის გამოცემა ეფუძნება 2017 წლის შემოდგომაზე პრინციპების წევრებსა და დამკვირვებლებს შორის გამართულ კონსულტაციებს, და ასევე, სოციალური ობლიგაციების სამუშაო ჯგუფის (SBWG) რეკომენდაციებს. ეს გამოცემა მოიცავს მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფის განმარტების დამატებით ახსნას. იგი ასახავს დამატებით მითითებებსა და განახლებულ განმარტებებს გარე ექსპერტებისთვის, რომელიც ასევე ცალკე გამოიცა „მწვანე, სოციალური და მდგრადი განვითარების ობლიგაციების გარე ექსპერტის შეფასების გზამკვლევის“ სახით. ეს უკანასკნელი შედგენილი იქნა გარე ექსპერტებთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე. ამ გამოცემაში ასევე ხაზი აქვს გასმული მნიშვნელოვანი ცვლილებების დროული ანგარიშგების მნიშვნელობას.

სოციალური ობლიგაციის განმარტება

სოციალური ობლიგაციები არის ობლიგაციები, რომლის ემისიიდან მიღებული თანხები ექსკლუზიურად გამოიყენება ახალი ან/და არსებული სოციალური პროექტების ნაწილობრივ ან სრულად დასაფინანსებლად ან რეფინანსირებისთვის (იხილეთ თავი 1 - ობლიგაციის ემისიიდან მიღებული თანხების გამოყენება) და შესაბამისობაშია სოპ-ის ოთხ ძირითად კომპონენტთან. ბაზარზე არსებობს სხვადასხვა ტიპის სოციალური ობლიგაციები, რომლებიც დანართ 1-შია განხილული.

მიიჩნევა, რომ ზოგიერთ სოციალურ პროექტს თან ახლავს გარემოსდაცვითი სარგებელი და ობლიგაციის როგორც სოციალურ ობლიგაციად კლასიფიცირება უნდა მოხდეს თავად ემიტენტის მიერ პროექტის ძირითადი მიზნებიდან გამომდინარე. (ობლიგაციას, რომელიც შეგნებულად აერთიანებს სოციალურ და მწვანე პროექტებს, მდგრადი განვითარების ობლიგაციად მიიჩნევენ და შესაბამისი რეკომენდაციები ცალკე გზამკვლევეშია წარმოდგენილი: [Sustainability Bond Guidelines](#)).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს რომ ობლიგაციები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ სოციალური ობლიგაციების პრინციპების ოთხ ძირითად კომპონენტს, არ უნდა იქნეს მიჩნეული სოციალური ობლიგაციების ექვივალენტურად. ობლიგაციები, რომლებიც გამოშვებულია სოციალური ობლიგაციების 2016 წლის გზამკვლევის მიხედვით, ასევე თანხვედრაში არიან სოპ-თან.

სოციალური ობლიგაციის პრინციპები

სოპ ნებაყოფლობითი პროცესის გზამკვლევა, რომელიც რეკომენდაციას უწევს ინფორმაციის საჯაროობასა და გამჭვირვალობას და სოციალური ობლიგაციების გამოშვების მეთოდის განმარტებით, ხელს უწყობს სოციალური ობლიგაციის ბაზრის განვითარებასა და ერთიანობას. სოპ გამიზნულია ბაზრის მიერ ფართო გამოყენებისთვის: იგი ემიტენტებს უზრუნველყოფს გზამკვლევით სანდო სოციალური ობლიგაციის გამოშვებისთვის საჭირო ძირითადი კომპონენტების შესახებ; საჭირო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის

უზრუნველყოფით სოპ ეხმარება ინვესტორებს მოახდინონ თავიანთი სოციალური ინვესტიციის დადებითი ეფექტების შეფასება; სოპ ასევე ეხმარება ანდერაიტერებს ბაზრის ინფორმაციის გასაჯაროების სტანდარტებზე გადასვლით, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ტრანზაქციების ზრდას.

სოციალური ობლიგაციების პრინციპები იძლევა რეკომენდაციას, რომ ემიტენტებმა უზრუნველყონ სოციალური ობლიგაციების გამოშვების პროცესის გამჭვირვალობა და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის საჯაროობა, რაც ინვესტორებს, ბანკებს, ანდერაიტერებს, და სხვა შუამავლებს საშუალებას მისცემს გაიგონ მოცემული სოციალური ობლიგაციის მახასიათებლები. სოპ ხაზს უსვამს იმ ინფორმაციის გამჭვირვალობის, სიზუსტის და მთლიანობის აუცილებლობას, რომელსაც ემიტენტი დანატერესებულ მხარეებს წარუდგენს.

სოციალური ობლიგაციის პრინციპები შედგება ოთხი ძირითადი კომპონენტისაგან:

1. ობლიგაციის ემისიიდან მიღებული თანხების გამოყენება
2. პროექტის შეფასებისა და შერჩევის პროცესი
3. ობლიგაციის ემისიიდან მიღებული თანხების მართვა
4. ანგარიშგება

1. ობლიგაციის ემისიიდან მიღებული თანხების გამოყენება

სოციალური ობლიგაციების მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ობლიგაციების ემისიიდან მიღებული თანხები გამოიყენება სოციალური პროექტების დასაფინანსებლად რაც, თავის მხრივ, ფასიანი ქაღალდების სამართლებრივ დოკუმენტაციაში ნათლად უნდა იყოს აღწერილი. ყველა სოციალურად მიჩნეულ პროექტს უნდა გააჩნდეს მკაფიო სოციალური სარგებელი, რომელსაც ემიტენტი შეაფასებს თვისობრივი, ხოლო, სადაც შესაძლებელია, რაოდენობრივი მახასიათებლებით.

იმ შემთხვევაში თუ ემისიიდან მიღებული თანხები მთლიანად ან ნაწილობრივ ხმარდება, ან შეიძლება მოხმარდეს რეფინანსირებას, მაშინ ემიტენტებისთვის რეკომენდირებულია წარმოადგინონ იმის შეფასება თუ როგორია

ფარდობა დაფინანსებასა და რეფინანსირებას შორის, და სადაც შესაძლებელია, აჩვენონ რომელი ინვესტიციები ან პროექტის პორტფელი შეიძლება რეფინანსირდეს. ასევე რეკომენდირებულია, ემიტენტმა მიუთითოს დროის მონაკვეთი წარსულში, როდესაც მოხდა რეფინანსირებული პროექტების რეალიზაცია.

სოციალური პროექტების მიზანია კონკრეტული სოციალური პრობლემების შემცირება და მოგვარება ან/და პოზიტიური სოციალური შედეგის მიღწევა მოსახლეობის მიზნობრივი

ჯგუფისთვის/ჯგუფებისთვის და არა მხოლოდ მათთვის. გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად, მიჩნეულია, რომ მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფის განსაზღვრა შეიძლება განსხვავდებოდეს ადგილობრივი კონტექსტის მიხედვით და, ზოგიერთ შემთხვევაში, მთლიანი საზოგადოების საკითხების მოგვარებით ასევე მოგვარდეს მსგავსი მიზნობრივი ჯგუფების საკითხები. ქვემოთ მოცემულია ისეთი სოციალური პროექტების კატეგორიების საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც მიზნად ისახავს მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფისთვის დადებითი სოციალურ-ეკონომიკური შედეგების მიღწევას.

პროექტების კატეგორიების ჩამონათვალი, მიუხედავად იმისა რომ მხოლოდ გასაცნობი ხასიათისაა, მოიცავს იმ პროექტების სახეებს რომელიც ყველაზე ხშირად ფინანსდება ან შეიძლება დაფინანსდეს სოციალური ობლიგაციები ბაზრის მიერ. სოციალური პროექტები ასევე მოიცავს სხვა დაკავშირებულ და დამხმარე ხარჯებს, როგორიცაა მაგალითად კვლევისა და განვითარების დანახარჯები (R&D) და შეიძლება ერთზე მეტ კატეგორიას უკავშირდებოდეს.

სოციალური პროექტები მოიცავს, მაგრამ არაა შეზღუდული შემდეგი კატეგორიებით:

- ხელმისაწვდომი საბაზისო ინფრასტრუქტურა (მაგ. სუფთა სასმელი წყალი, კანალიზაცია, სანიტარია, ტრანსპორტი, ენერგო რესურსები)
- აუცილებელი სერვისების ხელმისაწვდომობა (მაგალითად, ჯანდაცვა, განათლება და პროფესიული მომზადება, დაფინანსება და ფინანსური მომსახურება)
- ხელმისაწვდომი საცხოვრებელი
- დასაქმების გაზრდა, მათ შორის მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებისა და მიკროსაფინანსოების პოტენციური ეფექტის მეშვეობით

- სურსათის უვნებლობა
- სოციალურ-ეკონომიკური წინსვლა და გაძლიერება მოსახლეობის სამიზნე ჯგუფები მოიცავს, მაგრამ არ არის შეზღუდული შემდეგი კატეგორიებით:

1. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფნი
2. უმცირესობის წარმომადგენლები
3. მოწყვლადი ჯგუფები, მათ შორის ბუნებრივი კატასტროფების შედეგად
4. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები
5. მიგრანტები და / ან იძულებით გადაადგილებული პირები
6. დაბალი განათლების მქონე
7. დაუცველი, აუცილებელ საქონელსა და მომსახურებაზე სათანადო ხელმისაწვდომების ნაკლებობის გამო
8. უმუშევარი

ბაზარზე უკვე არსებობს სოციალური პროექტებისა და მისი კატეგორიების განმსაზღვრელი გარკვეული კრიტერიუმები, რომლებიც შეიძლება დამატებითი ინფორმაციის წყაროდ იქნას გამოყენებული. ემიტენტებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ გამოიყენონ მაგალითები, რომლებიც რესურსცენტრის (Resource Centre) ვებგვერდის შემდეგ ბმულზეა განთავსებული:

<https://www.icmagroup.org/green-social-and-sustainability-bonds/resource-centre/>.

2. პროექტის შეფასების და შერჩევის პროცესი

სოციალური ობლიგაციის ემიტენტმა ინვესტორს ცხადად უნდა გააცნოს შემდეგი საკითხები:

- სოციალური მიზნები;
- პროცედურა, რომლის მიხედვითაც ემიტენტი განსაზღვრავს პროექტების შესაბამისობას სოციალური პროექტების ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებთან;
- შესაბამისი საკვალიფიკაციო კრიტერიუმები, მათ შორის, გამორიცხვის კრიტერიუმი თუ ამას საჭიროება მოითხოვს ან რაიმე სხვა პროცედურები, რომელიც გამოიყენება პროექტებთან დაკავშირებული პოტენციური მატერიალური გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების შეფასებასა და მართვაში.

ემიტენტებისთვის რეკომენდირებულია განათავსონ ეს ინფორმაცია სოციალურ მდგრადობასთან დაკავშირებული ემიტენტის ყოვლისმომცველი მიზნების, სტრატეგიის, პოლიტიკის და/ან პროცესების კონტექსტში. ემიტენტებისთვის ასევე რეკომენდირებულია, გაასაჯაროონ ნებისმიერი სახის სოციალური სტანდარტები ან სერტიფიცირების ნორმები, რომელსაც პროექტის შერჩევისას მიმართავენ.

სოპ მისაღება მაღალი დონის გამჭვირვალობას და რეკომენდაციას უწევს ემიტენტებს პროექტის შეფასებისა და შერჩევის პროცესში გამოიყენონ გარე ექსპერტის შეფასებები (იხილეთ დამოუკიდებელი ექსპერტის შეფასების თავი).

3. ობლიგაციის ემისიიდან მიღებული თანხების მართვა

ემიტენტმა სოციალური ობლიგაციის ემისიიდან მიღებული წმინდა შემოსავლები ან ამ წმინდა შემოსავლის ექვივალენტი თანხა უნდა ჩარიცხოს ცალკე ანგარიშზე, გადაიტანოს ცალკე პორტფელში ან განკარგოს სხვა შესაბამისი წესით, რაც დამოწმებული უნდა იქნეს ემიტენტის მიერ იმ შიდა პროცედურების გამოყენებით, რომელიც დაკავშირებულია სოციალური პროექტების სასესხო და საინვესტიციო პროცესებთან.

სანამ სოციალური ობლიგაცია არ დაიფარება, პერიოდულად უნდა მოხდეს ობლიგაციის ემისიიდან მიღებული წმინდა თანხის რედაქტირება, რათა შესაბამისობაში მოვიდეს იმ პერიოდში არსებული სოციალური ობლიგაციების ფინანსების განაწილებასთან. ემიტენტმა ინვესტორებს უნდა აცნობოს თუ სად მოხდება ემისიიდან მიღებული გაუნაწილებელი წმინდა თანხების დროებით განთავსება.

სოპ მისაღება მაღალი დონის გამჭვირვალობას და რეკომენდაციას უწევს ემიტენტს ობლიგაციების ემისიიდან მიღებული თანხების მართვისას გამოიყენონ აუდიტორი ან სხვა მესამე მხარე, რათა გადამოწმდეს შიდა აღრიცხვის მეთოდი და სოციალური ობლიგაციების ემისიიდან მიღებული თანხების განაწილება (იხილეთ გარე ექსპერტის შეფასების თავი).

4. ანგარიშგება

ემიტენტებმა, მუდმივად უნდა იქონიონ და მოთხოვნის შემთხვევაში ხელმისაწვდომი გახადონ უახლესი ინფორმაცია ობლიგაციის ემისიიდან მიღებული თანხების გამოყენების შესახებ, რომელიც უნდა განახლდეს ყოველწლიურად შემოსავლების სრულ განაწილებამდე და შემდგომშიც მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში. ეს წლიური ანგარიში უნდა მოიცავდეს იმ პროექტების სრულ ჩამონათვალს, სადაც მოხდა სოციალური ობლიგაციის ემისიიდან მიღებული

თანხების გამოყენება, ასევე ამ პროექტების მოკლე დახასიათებას, თანხების გადანაწილებასა და პროექტის მოსალოდნელ ზემოქმედებას. თუ კონფიდენციალური შეთანხმებების, კონკურენტული მოსაზრებების, ან პროექტების მრავალრიცხოვნების გამო, ინფორმაციის დეტალურად გამოქვეყნება შეუძლებელია, მაშინ სოპ რეკომენდაციას უწევს, ინფორმაციის გამოქვეყნებას ზოგადი ტერმინების საშუალებით, ან აგრეგირებული პორტფელის საფუძველზე (მაგალითად, მთლიანი შემოსავლის რამდენი პროცენტი დაიხარჯა კონკრეტული პროექტის კატეგორიაზე).

პროექტის მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისას, გამჭვირვალობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. სოპ რეკომენდაციას უწევს ხარისხობრივი ინდიკატორების გამოყენებას, და სადაც შესაძლებელია, რაოდენობრივი ინდიკატორების გამოყენებასაც (მაგალითად, ბენეფიციართა რაოდენობა, განსაკუთრებით მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების შემთხვევაში) და ასევე, რაოდენობრივი შეფასებისას გამოყენებული ძირითადი მეთოდოლოგიისა ან/და დაშვებების შესახებ ინფორმაციის საჯაროდ მიწოდებას. იმ შემთხვევაში თუ ემიტენტს შეუძლია პროექტის ზემოქმედების მონიტორინგი, მაშინ სასურველია ეს ინფორმაცია შეიტანოს რეგულარულ ანგარიშგებაში.

არსებობს ნებაყოფლობითი გზამკვლევები, რომელიც სოციალური პროექტებისთვის ზემოქმედების ანგარიშგების ჰარმონიზებული ჩარჩოს შემუშავებას ისახავს მიზნად (აღნიშნული დოკუმენტები ხელმისაწვდომია რესურსცენტრის ვებგვერდის შემდეგ ბმულზე <https://www.icmagroup.org/green-social-and-sustainability-bonds/resource-centre/>). გზამკვლევები მოიცავს ზემოქმედების ანგარიშის ფორმატის შაბლონებს როგორც პროექტის ასევე პორტფელის დონეზე, რომელიც ემიტენტებს შეუძლიათ საკუთარი საჭიროებისამებრ შეცვალონ. სოპ მისაღება ინიციატივებს, რომლებიც ხელს შეუწყობს ინფორმაციის დამატებითი წყაროების შექმნას პროექტების ზემოქმედების ანგარიშგებისთვის, რომელთა ათვისება ან/და ადაპტაცია მოხდება საჭიროებების მიხედვით.

შემაჯამებელი დოკუმენტის არსებობა, რომელიც ასახავს სოციალური ობლიგაციის ან სოციალური ობლიგაციის პროგრამის მნიშვნელოვან მახასიათებლებს და სოპ-ის ოთხ ძირითად კომპონენტთან შესაბამისობას, შეიძლება ბაზრის მონაწილეებს დაეხმაროს ინფორმაციის მიღებაში. ამ მიზნით, შეჯამების შაბლონები ხელმისაწვდომია რესურსცენტრის ვებგვერდის შემდეგ მისამართზე: <https://www.icmagroup.org/green-social-and-sustainability-bonds/resource-centre/>, რომელიც შესაძლოა შეიცვლოს იმ ინსტრუქციების მეშვეობით, რომელიც იგივე ვებ-მისამართზეა განთავსებული და გამოქვეყნდეს საჯაროდ (იხილეთ რესურსცენტრის თავი ქვემოთ).

გარე ექსპერტის შეფასება

ემიტენტებისთვის რეკომენდირებულია სოციალური ობლიგაციის და პროგრამის გამოშვების შემთხვევაში გამოიყენოს გარე ექსპერტის მომსახურება, რათა მან დაადასტუროს ემიტენტის მიერ გამოშვებული სოციალური ობლიგაციის ან პროგრამის სოპ-ის ოთხ ძირითად კომპონენტთან შესაბამისობა. არსებობს სხვადასხვა გზა, რომელთა მეშვეობით ემიტენტებს შეუძლიათ მიიღონ გარე დახმარება სოციალურ ობლიგაციებთან დაკავშირებული შიდა პროცედურებისთვის. ასევე არსებობს შეფასების რამდენიმე დონე და სახეობა, რომლებიც შეიძლება მიეწოდოს ბაზარს.

ემიტენტს შეუძლია შეფასებისთვის მიმართოს კონსულტანტებს ან/და ინსტიტუტებს, რომელთაც გააჩნიათ აღიარებული ექსპერტიზა სოციალური მდგრადობის ან სოციალური ობლიგაციების ემისიასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებში. ამ საკითხებმა შეიძლება მოიცვას ემიტენტისთვის სოციალური ობლიგაციების ჩარჩოს ჩამოყალიბება ან სოციალური ობლიგაციის ემიტენტის ანგარიშგება. რჩევები ან საკონსულტაციო მომსახურება გულისხმობს ემიტენტთან თანამშრომლობას და განსხვავდება გარე ექსპერტის შეფასებებისაგან. . სოპ მიესაღმება სოციალური ობლიგაციის ან სოციალური ობლიგაციის პროგრამასთან დაკავშირებული აქტივების ან საქმიანობების სოციალური მახასიათებლების დამოუკიდებელ შეფასებას, სადაც მიზანშეწონილია.

დამოუკიდებელი გარე ექსპერტი შეფასებების მასშტაბი შეიძლება განსხვავდებოდეს და მიმოიხილავდეს სოციალური ობლიგაციის ჩარჩოს/პროგრამას, ინდივიდუალური სოციალური ობლიგაციის გამოშვებას, ძირითადი აქტივებს ან/და პროცედურებს. შეფასებები დაყოფილია ფართო კატეგორიებად და ზოგიერთი შემთხვევაში სთავაზობს ერთზე მეტი კატეგორიის მომსახურებას, ცალკე ან კომბინირებულად:

1. **მეორე მხარის მოსაზრებები:** ინსტიტუტმა, რომელსაც ექსპერტიზა გააჩნია სოციალურ საკითხებში და ემიტენტისგან დამოუკიდებელია, შეუძლია მეორე მხარის მოსაზრებები გასცეს. ინსტიტუტი უნდა იყოს სოციალური ობლიგაციის ჩარჩოს საკითხებში ემიტენტის მრჩეველისგან დამოუკიდებელი ან ინსტიტუტის ფარგლებში უნდა არსებობდეს შესაბამისი პროცედურები, როგორცაა მაგალითად საინფორმაციო ბარიერები, რაც მეორე მხარის მოსაზრებების დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს. ეს ჩვეულებრივ მოიცავს

სოციალური ობლიგაციის პრინციპებთან შესაბამისობის შეფასებას. კერძოდ, მასში შეიძლება შეფასებულ იქნას ემიტენტის ფართო მიზნები, სტრატეგია, სოციალურ მდგრადობასთან დაკავშირებული პოლიტიკა და/ან პროცესები. აგრეთვე, იგი შეიძლება მოიცავდეს ემისიიდან მიღებული თანხების გამოყენებისათვის განკუთვნილი პროექტების სოციალური მახასიათებლების შეფასებას.

2. **დამოწმება:** ემიტენტს შეუძლია მიიღოს დამოუკიდებელი დამოწმება განსაზღვრული კრიტერიუმების მიმართ, რაც, როგორც წესი, ეხება ბიზნეს პროცესებს ან/და სოციალურ კრიტერიუმებს. დამოწმება შეიძლება ორიენტირებული იყოს შიდა ან გარე სტანდარტებთან ან ემიტენტის მიერ გაცხადებულ პროცედურებთან შესაბამისობის დადგენაზე. ასევე, დაკავშირებული აქტივების სოციალური მდგრადობის მახასიათებლების შეფასებას შეიძლება ეწოდოს შესაბამისობის შემოწმება და შეიძლება, ეფუძნებოდეს გარე კრიტერიუმებს. ემიტენტის მიერ ემისიიდან მიღებული თანხების გამოყენების შიდა დაკვირვების მეთოდის, სოციალური ობლიგაციის ემისიიდან მიღებული თანხების განაწილების, სოციალური ზეგავლენის შესახებ განაცხადის ან ანგარიშგების სოპ-თან შესაბამისობის დასაბუთება და ატესტაცია ასევე შეიძლება მიჩნეულ იქნას დამოწმებად.

3. **სერტიფიცირება:** ემიტენტს შეუძლია განახორციელოს სოციალური ობლიგაციების, სოციალური ობლიგაციების ემისიის ჩარჩოს ან ემისიის გზით მიღებული თანხების გამოყენების პროცედურების სერტიფიცირება აღიარებული გარე სოციალური სტანდარტის ან ეტიკეტის მიხედვით. სტანდარტი ან ეტიკეტი განსაზღვრავს კონკრეტულ კრიტერიუმებს, რომელთა შესაბამისობასაც ამოწმებს კვალიფიციური, აკრედიტირებული მესამე მხარე, რომელსაც შეუძლია მოახდინოს სერტიფიცირების კრიტერიუმთან თავსებადობის დამოწმება.

4. **სოციალური ობლიგაციისთვის ქულის/რეიტინგის მინიჭება:** ემიტენტს შეუძლია მოახდინოს თავისი სოციალური ობლიგაციების, სოციალური ობლიგაციების ემისიის ჩარჩოს ან მნიშვნელოვანი მახასიათებლების, როგორცაა ემისიიდან მიღებული თანხების გამოყენების შეფასება კვალიფიციური მესამე მხარის მიერ, როგორებიცაა სპეციალიზებული კვლევითი ცენტრები ან სარეიტინგო სააგენტოები აღიარებული სარეიტინგო მეთოდოლოგიის მიხედვით. შედეგები შეიძლება მოიცავდეს სოციალური მიმართულებით მუშაობის

შეფასების მონაცემებს და პროცესებს სოპ-ის ან სხვა ნიშნულის მიმართ. მსგავსი ტიპის ქულა/რეიტინგი განცალკევებულია ემიტენტის საკრედიტო რეიტინგისგან, რაც მიუხედავ ამისა შეიძლება მატერიალურ სოციალურ რისკებსაც ასახავდეს.

გარე ექსპერტის შეფასება შეიძლება იყოს ნაწილობრივი, რომელიც მოიცავს ემიტენტის სოციალური ობლიგაციების ან შესაბამისი სოციალური ობლიგაციების ემისიის ჩარჩოს მხოლოდ გარკვეულ ასპექტებს. ასევე, გარე ექსპერტის შეფასება შეიძლება იყოს სრული, რა შემთხვევაშიც იგი ითვალისწინებს სოციალური ობლიგაციების პრინციპების ოთხივე ძირითად კომპონენტთან შესაბამისობის დადგენას. სოპ ითვალისწინებს, რომ გარე ექსპერტის შეფასების დროითი განრიგი შეიძლება დამოკიდებული იყოს ემისიის შედეგად მიღებული სახსრების გამოყენების ხასიათზე, ხოლო შეფასების გამოქვეყნება შეიძლება იზღუდებოდეს ბიზნესის კონფიდენციალურობის მოთხოვნებით.

სოპ-ის თანახმად, რეკომენდირებულია გარე ექსპერტის შეფასების საჯაროდ გამოქვეყნება და ასევე, გარე ექსპერტის შეფასებისთვის განკუთვნილი შაბლონის გამოყენება, რომელიც ხელმისაწვდომია რესურსცენტრის შემდეგ ვებ-მისამართზე: <https://www.icmagroup.org/green-social-and-sustainability-bonds/resource-centre/>. ასევე სასურველია თუ გარე ექსპერტები შეავსებენ გარე ექსპერტის შეფასების მომსახურების შაბლონს (External Review Service Mapping Template), რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ICMA-ის ვებგვერდზე.

სოციალური ობლიგაციების პრინციპები გარე შეფასების მწარმოებლებს მოუწოდებს შეფასების ფარგლებში გაამყავნონ ინფორმაცია საკუთარი კომპეტენციისა და საჭირო კვალიფიკაციის შესახებ, ასევე ცხადად წარმოადგინონ ჩატარებული შეფასების მასშტაბი. საუკეთესო პრაქტიკის ხელშეწყობის მიზნით სოპ-ის მიერ შემუშავებულ იქნა გარე ექსპერტის შეფასების ნებაყოფლობითი სახელმძღვანელო. სახელმძღვანელო პრინციპები წარმოადგენს ბაზარზე დაფუძნებულ ინიციატივას გარე ექსპერტის შეფასების პროცესზე ინფორმაციისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, მათ შორის ემიტენტების, ანდერრაიტერების, ინვესტორების, სხვა დაინტერესებული მხარეების და თავად გარე ექსპერტებისთვის.

რესურსცენტრი

რეკომენდირებული ნიმუშები და სოციალური ობლიგაციების პრინციპების სხვა რესურსები ხელმისაწვდომია რესურსცენტრში შემდეგ ვებ-მისამართზე: <https://www.icmagroup.org/green-social-and-sustainability-bonds/resource-centre/>. შევსებული ნიმუშები შეიძლება გამოქვეყნდეს ელექტრონული ფორმით რესურსცენტრში ფართო მოხმარებისთვის ზემოთ მოცემულ ვებ-მისამართზე განთავსებული ინსტრუქციების შესაბამისად.

პასუხისმგებლობის შეზღუდვის განაცხადი

სოციალური ობლიგაციის გზამკვლევი ეს არის ნებაყოფლობითი პროცედურების გზამკვლევი და იგი არ წარმოადგენს შეთავაზებას ფასიანი ქაღალდების ყიდვის ან გაყიდვის თაობაზე ან რაიმე სახის (საგადასახადო, სამართლებრივი, გარემოს დაცვითი, სააღრიცხვო ან მარეგულირებელი) რჩევას სოციალური ობლიგაციების ან სხვა ფასიანი ქაღალდების შესახებ. სოციალური ობლიგაციის პრინციპები არ წარმოშობს არც უფლებას, და არც ვალდებულებას, რომელიმე საჯარო ან კერძო პირის მიმართ. ემიტენტები სოციალური ობლიგაციების პრინციპებს ნებაყოფლობით და დამოუკიდებლად ითვისებენ და ნერგავენ, სოციალური ობლიგაციების პრინციპებზე ყოველგვარი დამოკიდებულების გარეშე და თავად არიან პასუხისმგებელი სოციალური ობლიგაციების გამოშვების გადაწყვეტილებაზე. სოციალური ობლიგაციების ანდერრაიტერები არ არიან პასუხისმგებელი ემიტენტების მიერ სოციალური ობლიგაციებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის და არც ამ ობლიგაციების ემისიიდან მიღებული თანხების არამიზნობრივად გამოყენებისათვის. თუ არსებობს შეუთავსებლობა სოციალური ობლიგაციის პრინციპებსა და შესაბამის კანონებს, დებულებებსა და რეგულატორულ ნორმებს შორის, უპირატესობა ადგილობრივ კანონებს, დებულებებს და ნორმებს მიენიჭება.

დანართი I

სოციალური ობლიგაციის სახეები

ამჟამად არსებობს ოთხი სახის სოციალური ობლიგაცია (ბაზრის განვითარებასთან ერთად, შესაძლებელია, სოციალური ობლიგაციების სახეობების რაოდენობაც გაიზარდოს, რაც სოციალური ობლიგაციების პრინციპების ყოველწლიურ განახლებებში იქნება ასახული):

- **ობლიგაციის ემისიიდან მიღებული თანხების სტანდარტული გამოყენების სოციალური ობლიგაცია:** სოციალური ობლიგაციის პრინციპების შესაბამისი, სტანდარტული სავალო ვალდებულება ემიტენტის მიმართ მოთხოვნის უფლებით.
- **სოციალური შემოსავლის ობლიგაცია:** სოციალური ობლიგაციის პრინციპების შესაბამისი, სავალო ვალდებულება ემიტენტის მიმართ მოთხოვნის უფლების არ ქონით, რომლის საკრედიტო რისკიც დაკავშირებულია შემოსავლების, გადასახადების, საკომისიოების და სხვა წყაროებიდან შემოსულ ფულად ნაკადებზე და რომლის შემოსავლები გამოიყენება დაკავშირებულ ან არადაკავშირებულ სოციალურ პროექტებში.

- **სოციალური პროექტის ობლიგაცია:** ემიტენტის მიმართ მოთხოვნის უფლების მქონე ან არ-მქონე, სოციალური ობლიგაციის პრინციპების შესაბამისი ობლიგაცია, რომელიც მიმართულია ერთი ან რამდენიმე სოციალური პროექტის დაფინანსებაზე და პროექტებთან დაკავშირებულ რისკზე ინვესტორი თავად აგებს პასუხს.
- **სოციალური სეკურიტიზირებული და უზრუნველყოფილი ობლიგაცია (Securitized and Covered):** სოციალური ობლიგაციის პრინციპების შესაბამისი ობლიგაცია, რომელიც უზრუნველყოფილია ერთი ან რამდენიმე კონკრეტული სოციალური პროექტით, როგორცაა უზრუნველყოფილი ობლიგაცია, იპოთეკით და აქტივებით უზრუნველყოფილი ფასიანი ქაღალდები და სხვა. გადახდის მთავარი წყაროა აქტივების ფულადი ნაკადები. ასეთი სახის ობლიგაციები მოიცავს, მაგალითად, უზრუნველყოფილ ობლიგაციებს რომელთა უზრუნველყოფა ხდება სოციალური საცხოვრისით, საავადმყოფოებით, სკოლებით.

შენიშვნა

აღიარებულია, რომ არსებობს მდგრადი განვითარების თემატური ობლიგაციების ბაზარი რომლითაც ხდება მწვანე და სოციალური პროექტების კომბინაციის დაფინანსება, მათ შორის ისეთი ობლიგაციების რომლებიც დაკავშირებულია მდგრადი განვითარების მიზნებთან ("SDG"). ზოგიერთ შემთხვევაში, ასეთი ობლიგაციები გამოშვებულია იმ ორგანიზაციების მიერ, რომლებიც ძირითადად ან მთლიანად ჩართული არიან მდგრადი განვითარების საქმიანობაში, მაგრამ მათი ობლიგაციები შესაბამისობაში არ არის მოპ-ის და სოპ-ის პრინციპების ოთხ ძირითად კომპონენტთან. ასეთ შემთხვევაში საჭიროა მოხდეს ინვესტორების შესაბამისი ინფორმირება და სათანადო ზომები უნდა იქნეს მიღებული, რომ არ მოხდეს მოპ-ის და სოპ-ის თვისებების მინიჭება ასეთი ტიპის მდგრადი განვითარების ან SDG ობლიგაციებისთვის. ასეთ ორგანიზაციებს მოუწოდებენ, რომ სადაც შესაძლებელია მოახდინონ მოპ-ის და სოპ-ის საუკეთესო პრაქტიკის (მაგალითად, ანგარიშგება) დანერგვა უკვე არსებული მდგრადი განვითარების თემატიკის, SDG ან სხვა მსგავსი ტიპის ობლიგაციებისთვის, და მომავალში ობლიგაციების ემისია მოპ-ის და სოპ-ის პრინციპებთან შესაბამისობაში მოახდინონ.

უნდა აღინიშნოს, რომ მოპ-ის და სოპ-ის მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG) შესაბამისობის რუკა უკვე ხელმისაწვდომია. იგი მიზნად ისახავს ემიტენტებს, ინვესტორებს და ობლიგაციების ბაზრის მონაწილეებს მიაწოდოს ფართო ჩარჩო, რათა მათ შეძლონ მწვანე, სოციალური და მდგრადი განვითარების ობლიგაციების/ობლიგაციების პროგრამების ფინანსური მიზნების SDG-თან მიმართებაში შეფასება. აღნიშნული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ICMA-ის ვებგვერდის შემდეგ მისამართზე: <https://www.icmagroup.org/green-social-and-sustainability-bonds/>.



Contact details

ICMA Paris Representative Office

62 rue la Boétie

75008 Paris

France

Tel: +33 1 70 17 64 70

socialbonds@icmagroup.org

www.icmagroup.org



Please scan to
download this brochure.